

ჩემი კულტურა

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტრო N25, დეკემბერი, 2013 წელი

მარალი გვირიალობა,

ანუ ჰოპლა, ჩვენ დავბრუნდით!



იოსე ჭავაშვილი

ეს პრემიერა იყო, მაგრამ განახლებული სპექტაკლის პრემიერა. პირველად ის რამდენიმე წლის წინათ დაიდგა. მაგრამ სულ მაღლე მსახიობები, რომლებმაც ხელმწიფები არ დაუჩინეს, თეატრიდან გაუშვეს. და როცა ხალხმა უსამართლო ხელმწიფე თვითონ გაუშვა, ისინიც დაბრუნდნენ. ამ დაბრუნების შემდეგ, სულ სხვა დატვირთვა შეიძინა ფრაზამ, რომელსაც სპექტაკლში დედა ეუბნება ლადოს: „ყველა ხელმწიფე აღიგვეხა პირისაგან მიწინ-“

სა, შენს ლექსს კი სიკვდილი არ უწერია.“

მართალია, სპექტაკლს „ირმის უკანასკნელი ბლავილი“ ჰქვია, მაგრამ, მარადიული მყიდვირიბის სიმბოლოდ აღიქმება.

* * *

ახლა ის სპექტაკლ - აქციადაც კი მოჩანს, თუმცა მთავარი როლის შემსრულებელმა, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის მინისტრმა დიმიტრი ჯაიანმა არ ისურვა პრემიერისთვის ამგა-რი შეფერილობის მიცემა, სპექტაკლის შემ-

დეგ მხოლოდ ეს აღნიშნა, ჩვენ დავბრუნდით, სიკეთებზე ბოროტება ვერასოდეს გაიმარჯვებს.

ამით ყველაფერი ითქვა...

* * *

ქართული თეატრის ისტორიას ამშვენებს მარადიობად ქცეული შემახილი: „ჰოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ!“ ამ პრემიერას კი ასეთი ყიუინა უფრო მოუხდებოდა: „ჰოპლა, ჩვენ დავბრუნდით!“

ინიციატივა მა-4 გვარდი

გილოზავთ
ახლო წელს და
შობის წონინვალე
ფლეხასწაულს!



2014

ბესიკ ხარანაული:

თავი ჩიხში არასოდეს მოიქციოთ

ნატო კორსანიშვილი

„წიგნთან დაბრუნება“ - უბრალოდ ასეც შეიძლებოდა, დაგერქმია მწერალ ბესიკ ხარანაულთან შეხვედრისთვის. საყოველთაოდ ცხადია, კომპიუტერის ეპოქას როგორ შეავინორვებ წიგნი, თითქმის კუთხეში მოამზევდია კაცობრიობის ეს შეუდარებელი მონაპოვარი. ამ რეალობის გარევეულწილ მაინც შეცვლის მიზნით, აფხაზეთის განახლებისადაც კულტურის სამინისტრის ჯერ ეიდევ რამდენიმე წლის წინათ აფხაზეთის საჯარო სკოლებში შექმნა „მწიგნიბართა კლუბები“. ამ პროექტის ფარგლებში მოსწავლეები კათხულობებს მათვის საინტერესო რომელიმე მწერლის ნაწარმოებებს, აწყობენ დისკუსიებს და ბოლოს, რაც მთავარია, ხვდებიან თავად ავტორს და ესაუბრებიან.

აფხაზეთის საჯარო სკოლების „მწიგნიბართა კლუბების“ წევრებმა არჩევად რესტავრილისა და ჭავჭავაძის პრემიების, ლიტერატურული პრემიების - „გალასა“ და „საბას“ ლაუ-

რეატზე, ნობელის პრემიის ნომინანტზე პოეტ ბესიკ ხარანაულზე შეაჩერეს. ადამიანზე, როლიც მე-20 საუკუნეშივე აღიარეს 21-ე საუკუნის პოეტად.

ბესიკ ხარანაულმა ქართული ვერლიბრი განვითარების მანამდე ნარმოუდენელ მწვერვალებს გალილია, თუმცა თავად არ უყვარს ისტყვა ვერადიბრი და მათ თავისუფალ ლექსებს უწევდებს. მომუსახველად თავისუფალია ის პროზა-შიც. ამასთანავე, მის იმგვარ ირიგინალურ ნანარმოებებს, როგორიც არის „სამოცი ჯორზე ამხედრებული რაინდი ანუ წიგნი ჰიპერბოლებისა და მეტაფორებისა“, „ეპიგრაფები დავინიცებული სიზმებისათვის“, „მთავარი გამითამაშებელი“ მწერლის დარად, ვერც შენ უწოდებ მხოლოდ პროზას. უფრო მეტიც, მნელია თქმა, სად გადის მათში ზღვრი პროზასა და პოეზიას შორის.

ბესიკ ხარანაულის ნაწარმოებებს ერთი უმთავრესა ნიშანიც კრავს: თავად ავტორი წიგნიდან წიგნში საკუთარი თავის საძებნელად არის გაჭიროლი თითქოს ხან პირდაპირ ამბობს ამს, ხანაც ქვეტესტებით. „ისე ღრმად ყოფილა კაცში საკუთარი თავი, რაც მეტს მიჰყები, უფრო მეტ-

სა თხრი თხუნელასავით, უფრო გეერგება და შენ ისევ შიშველი ინსტინქტების ამარა რჩები“, - ამბობს თავად პოემაში „ამბავი ამბა ბესარიონისა“.

ამ დროს მწერალს ყველთვის კვალში უდგას ჭეშმარიტი მკითხველი, რომლისთვისაც რაღაც ეტაპზე ზღვარი ერთად თავადაც დაეხეტება საკუთარი თავის საძენელად „სანაბაობასავით“ წიგნებში.

ამ ყველაფერზე მწერალს შეხვედრაზეც დაუსვეს შეკითხვები აზხაზეთის საჯარო სკოლების მოსწავლეებმა, რომლებიც საგანგებოდ ჩამოიდნენ ზუგდიდან, სენაკიდან, ფოთიდან, ჩხოროწყუდან. მწერალი კი მათთან ერთად კითხვებს უსამდენო აფხაზეთის განათლებისა და კულტურის მინისტრზე დიმიტრი ჯაანი, ცნობილი შეურნალისტი მანანა კარტოზია და შეხედრის ნამუსანი (თევზი მონა-მორჩილი). შეხედრას ესრულებოდა აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარებელის მოვალეობის შემსრულებელი ვახტანგ ყოლბაია.

გამოცემა მა-6 გვარდი

აფხაზეთის
მასავაზეობა
მა-4 კონფერენციაზე



გვ. 3

დროინდების ტაქტი -
ქართული კულტურის
მნიშვნელოვანი კერა



გვ. 8

xxi საუკუნე ენთუზიასტების დრო არ არის

აფხაზეთის მასწავლებელთა მე-4 კონფერენციაზე

809 8060

27 ნოემბერს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრში აფხაზეთის მასწავლებელთა მე-4 კონფერენცია გაიმართა. კონფერენციას აფხაზეთის საჯარო და ოკუპირებულ ტერიტორიაზე მოქმედი სკოლების 100-ზე მეტი პედაგოგი და არაერთი საპატიო სტუმარი დაესწრო. კონფერენციის მუშაობას აფხაზეთის განათლებისა და კულტურის მინისტრის პირველი მოადგილე მანანა ქვაჩახია წარმართავდა. მან თავის შესავალ სიტყვაში აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროს 2013 წლის მიღწევები შეაჯამა და ისაუბრა სამინისტროს 2014 წლის გამოწვევებზე ზოგადი განათლების ხარისხის გაუმჯობესებისა და საგანმანათლებლო პროგრამების მართულებით.

მანანა ქვაჩახიამ: - უკვე მეოთხედ გვეძლება შესაძლებლობა, შეგხვდეთ ერთმანეთს აფხაზეთის საჯარო სკოლების მასწავლებელთა კონფერენციის ფარგლებში. ასეთ ფორმატში ჩვენი შეხვედრები უკვე ერთგვარ ტრადიციად იქცა, რადგან ძალიან საჭიროდ და მნიშვნელოვნად გვესახება, რომ პედაგოგებს საშუალება ჰქონდეთ მათვეს საინტერესო და საჭიროობროტ საკითხებზე, განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმების თაობაზე, უშუალოდ დიალოგის რეზუმში ესაუბრონ განათლების პოლიტიკის შექმნელებსა და მესვეურებს. წლის ბოლოს უკვე შეგვიძლია ვისაუბროთ იმაზე, თუ რა გავაკეთოთ და რა გვაქვს სამომავლოდ დაგეგმილი. რიგი პროგრამებისა, მათთვის აქტუალობისა და საჭიროებიდან გამომდინარე, პერმანენტულ რეზუმში მიმდინარეობს და ისინი მომავალშიც გაგრძელდება. ასე მაგალითად, 2007 წლიდან აფხაზეთის საჯარო სკოლებში ხორციელდება უფროსკლასელთა პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის პროგრამა, რომელიც მოიცავს არა მხოლოდ მოსწავლეებთან სპეციფიურ მუშაობას მათი უნარ-ჩვევების უკეთ განასაზღვრის მიზნით, არამედ პედაგოგთა აღჭურვასაც სათანადო ცოდნითა და მეთოდებით. მიგვაჩნია, რომეს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და საჭირო პროექტია, რომელსაც ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში ჩვენი სამინისტრო ახორციელებს. ამ პროექტის მიზანია, დაგვეხმაროთ უფროსკლასელებს, რათა გაცნობიერებულად და თანამედროვე შრომის პაზრის მოთხოვნების შესაბამისად აირჩიონ პროფესიას.

გაისად უფრო აქტიურ თანამშრომლობას ველით საქართველოს განათლებისა და მეცნი-ერების სამინისტროსთან, რადგან განათლების სფეროში არსებობს რიგი საერთო პროექტებისა. ასევე ვგვეგმავთ ღონისძიებებს მასწავლებლთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრთან შეთანხმებით.

მომავალში სამინისტროს მუშაობის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულაბად ისევ და ისევ რჩება ინკლუზიური განათლების სელშემ-წყობი პროგრამებისა და საგანმანათლებლო-შემცირებითი აქტივობების განხორციელება, რადგან შემ მოზარდების განათლება და სოცი-ალიზაცია ჯერ კიდევ მოუგვარებელ უმნიშვ-ნელოვანეს პრობლემას წარმოადგენს.

განსაკუთრებული აქცენტი კეთდება დევნილი წარმატებული სტუდენტების დახმარების პროგრამებზე. 2013 წელს თანადაფინანსების სახით დახმარება გაეწია 73 ახალგაზრდას, მომავალი წლისთვის სურვილი გვაქვს, რომ ეს რიცხვი გაიზარდოს და უფრო მეტი ნიჭიერი ახალგაზრდის მარდაჭერა შევძლოთ. აღსანიშვნია, რომ სამინისტროს ყველა ღონისძიებასა თუ პროგრამაში ჩართულნი არიან გალის რაიონის ოკუპირებული ტერიტორიის მოსწავლეები.

კონფერენციაზე ასევე განხილულ იქნა მთლიანად საქართველოს განათლების სფეროში მიმდინარე რეფორმები და სიახლეები.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილემ ლიკ გიგაურმა პედაგოგებს სამინისტროს მიერ დაგეგმილი პროექტები და სიახლეები გააცნო. მისი განცხადებით, განათლების სამინისტროს უმთავრესი პრიორიტეტი განათლების ხარისხისა და ხელმისაწვდომობის გაზრდაა. ამისთვის აუცილებელი იყენების მიზანი არ არის მართლიანი განათლების განვითარება, არა კი მართლიანი განათლების განვითარება.



თანამშრომლობის სურვილი გვაქვს.

ადრე მოკლევადიანი ტრენინგები გვქონდა
ახლა მასწავლებლებს გრძელვადიან კურსების
ვთავაზობთ. ის მოიცავს ყველა მიმართულების
ბას. 130-ზე მეტი მიღული გვაქვს. მასწავლებლები
ლები თვითონ აირჩევენ სასურველ მიმართულებას. გვაქვს ტრენინგები, როგორც პროფესიული უნარების დახვენის, ისე საგნობრივი მიმართულებების მიხედვით. ცალკე ტრენინგები
გვები ტარდება დირექტორებისთვის. კურსების სანგრძლივობა შესვენებებით რამდენიმე კვირ
რას მოიცავს. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ
თავად მასწავლებლების იდეებისა და მოთხოვნების
ნების მიხედვით ავაგოთ სწავლების კურსის
ჩვენს ცენტრს ამის შესაძლებლობა აქვს. საკურსო
მაოდ დიდი რესურსები გაგვაჩინია საიმისოდ
რომ რასაც დაგვიკვეთოვანი, ის შევასრულოთ.

აფხაზეთის განათლებისა და კულტურის
მინისტრმა დიმიტრი ჯაიანმა კონფერენციის
შეფასებისას თქვე: - მე პედაგოგების ოჯახის
დან ვარ და კარგად ვიცი, რასაც ნიშნავს პედა-
გოგის ღვანწლი. ამასთანავე, ვიცნობ მათ წინა-
შე მდგარ სირთულეებსაც. განსაკუთრებულად
დასაფასებელია ენგურს გაღმა მოღვაწე პედა-
გოგების შრომა, მათი გამზედობა, სიმძმაცე
ისინი სიცოცხლის ფასად ასწავლიან მიზარ-
დებს ქართულ ენას და უშიშრად ახერხებე
ოკუპირებული ტერიტორიებიდან გადმოსვე
ლას. სწორედ ამგვარ პედაგოგებს და მოსწავე
ლებს უნდა ემსახურებოდე, რომ ხვალინდელ
დღის სავალი გზა უფრო ნათელი იყოს. ამას
თანავე, აუცილებელია, ვიზრუნოთ პედაგოგებ
ბის ანაზღაურების გაზრდაზე. ადამიანი, რომ
მელსაც შან და წყურია, არ შეიძლება სკოლაში
ასწავლიდეს. დღეს სხვა სტანდარტებზეა საუ
ბარი. ჩევნს პედაგოგებს შესაბამისი განათლე
ბა და შესაძლებლობები აქვთ და გული მწყდე
ბა, რომ მათ ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა

ვათ. ეს აუცილებლად უნდა გამოსწორდეს. მასნავლებელთა შეკითხვებშიც გამოჩნდა, რამდენად დროული და საჭირო იყო ეს კონფერენცია, რომელიც ძალიან მაღალ დონეზე ჩატარდა. ამისთვის დიდი მაღლობა ჩემს პირველ მოადგილეს მანანა ქვაჩახიას.

აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარის
მოვალეობის შემსრულებლის გახტანგ ყოლ-
ბაისა განცხადებით: - აფხაზეთის განათლები-
სა და კულტურის სამინისტრომ მასწავლებელ-
თა კონფერენციის სახით შესანიშნავი ტრადი-
ცია დამკადრა, დიდი მაღლობა მათ ამისთ-
ვის. დიდი მდლობა მინდა ვუთხრა ასევე მას-
წავლებლის სახლის ხელმძღვანელებს, რომ-
ლებიც გვმასპინძლობენ. დღეს განათლების
სისტემა საკმაოდ არასასურველ რყევებს გა-
ნიცდის, რაც მოსწავლეებზე, აუდიტორიაზე
და პედაგოგებზე აისახება. ამ კონფერენციამ
კიდევ ერთხელ დაგვარჩმუნა იმაში, თუ რამ-
დენად მნიშვნელოვანია მასწავლებლების
პროფესიული დონის ამაღლება. თავად პედა-
გოგები ალიარებენ, რომ მათ სჭირდებათ ტრე-
ნინგები, სიახლეების გაცნობა, თანამედროვე
მიღწევების დანერგვა პრაქტიკაში. მათ ძალი-
ან ბევრი საინტერესო შეკითხვა დასვეს, რაც
ძალიან მახარებს. საქართველოს განათლებისა
და მეცნიერების სამინისტრო მზად არის მო-
უსმინოს მასწავლებლებს და თავად მასწავ-
ლებლებიც მზად არინ ჩაერთონ ამ პროცესში.
აფხაზეთის მთავრობა, აფხაზეთის განათლე-
ბისა და კულტურის სამინისტრო კი მათ კოორ-
დინირებულ მუშაობას ხელს შეუწყობს. მად-
ლობა მინდა ვუთხრა ვყელა პედაგოგს, განსა-
კუთრებით კი მათ, რომლებიც ოკუპირებულ
ტერიტორიაზე უძღვებიან საგანმანათლებლო
საქმიანობას და ქვეყანას ღირსეულ თაობებს
უზრდიან.

დასასრულ აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროს პროექტის „ინოვაციური პედაგოგის“ ფარგლებში გამარჯვებული 13 პედაგოგი დაჯილდოვდა. აფხაზეთის ლვანლმოსილ პედაგოგებს მიმოზა მარლანიას და ნიკოლოზ ჯომიდავას აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საპორტო სიგელები გადაეცათ. სპეციალური სიგელით დაჯილდოვდა გალის რაონის ოკუპირებული ტერიტორიის საბერიოს N1 საშუალო სკოლის ყოფილი პედაგოგი, ამჟამად პენსიაზე მყოფი ...მედა ზარანდია.

აფხაზეთის საჯარო და ოკუპირებული სკო-
ლების მასწავლებლები მომავალ კონფერენ-
ციაზე ახალი წარმატებებითა და სასიამოვნო
სიახლეებით შექვედირის იმედით დაშალნენ.

გარალი გვირალობა,

ანუ ჰოპლა, ჩვენ დავბრუნდით!



იოსებ ქუჩარიშვილი

კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის სოხუმის სახელმწიფო დრამატული ოეტრი. პრემიერა. „ირმის უკანასკნელი ბლავილი.“

თოარ მამიტორიას ნოველა, ნიკა აგიაშვილის წიგნი „ჭაბუკები და რჩენენ მარად“, ლადო ასათიანის ლექსები და ნერილები - ეს, თავისთავად, საზტერესო ლიტერატურული ძასალაა, მაგრამ არ არის დრამატურგია, ურიომლისოდაც დრამატული თეატრის სრულფასოვანი წარმოდგენა ვერ შეიქმნება. რეფსორ ნუგზარ ლორთქიფანიძეს შეუძლია, ეს მასალა დრამატურგიად აქციოს და თვით ლექსიც კი „ამოქმედის“. შეიძლება ითქვას, ეს მისი სტიქია, ის ასპარეზია, სადაც თაგს ერთობ ლაღად გრძნობს. კარგად გვასიყვას თუმანიშვილის თეატრში მის მიერ დადგმული „წეუთხავი ასკა“, სადაც ჩვენი ხალხური წოეზის უკვდავი მარგალიტები დაუვინცარ სანახაობად იყო ასმული.

ამჯერად, ლადო ასათიანის ლექსი და ბედის-წერა უქცევა ერთიან დრამატურგიულ ქსოვილად და ისეთი დრამატულად მძაფრი, ესთეტიკურად მშვენელი სპექტაკლი შეუთხზავს (შეუთხავ!), ნებისმიერი თეატრის რეპერტუარს რომ დამშვენებდა.

ამ დრამატურგიულ ქსოვილში მრავალი საინტერესო ეპიზოდია ჩართული: პირველი ლექსის გამოქვენება, გალაკეტონთან შეხვედრა, ინსტიტუტიდან გარიცხვა, ფიროსმანის ნახატის გამო კახეთში ჩარცლა და დიდი სიყვარულის დაბადება, აბასთუმანის დრამატული სიმძაფრე გა-



მოარჩევს იმ ეპიზოდს, აბასთუმანში მყოფ პოეტს მეუღლე (ლილი ხურითი) რომ მიმართავს: „ლადო, აკოცე მენს შვილს“, ის კი, გასაგები მაზეზის გამო, ზურგზე კოცნის. შემთხვევითი არ არის, რომ ეს ეპიზოდი მქუჩარე ტაშის თანხლებით თამაშდება.

რაც მთავრია, ეს ეპიზოდები სინტერესო თეატრალური ხერხებითაა მონოდებული და სასცენო სანახაობად გადაქცეული. მაგალითად, ძალიან შთამბეჭდავია სცენა, ხელში ყველას გაზეთი რომ უჭირავს და პირველად დასტამპულ ლადოს ლექსებს კითხულობს.

მთავარ გმირს რომ მსახიობი განასახიერებს - ეს ლადოს სიყრმე და სიჭიბუკეა.

ჩვენი და ფუცი, მაგრამ კეთილი გულით - ასე ასახითებენ სპექტაკლში ლადოს.

ჩვენი უფრო ყრმა ლადოზე ითქმის, სრულიად ახალგაზრდა მსახიობი სანდრო ლორთქიფანიძე რომ წარმოგვდებენ;

ფიცები უფრო ჭაბუკი ლადოა, დიმიტრი ჯაიანის შესრულებით.

გული, რა თქმა უნდა, ორივეს კეთილი აქვს.

ორივე მსახიობი, უპირველესად, გულწრფელი გვეხიბლავს, მაგრამ დიმიტრი ჯაიანთან ამ თვისებას ასტატობაც ემატება და სპექტაკლის სიმძიმის ცენტრიც, ბუნებრივია, მასზე გადადის. დიმიტრი ჯაიანი არა მხოლოდ ჭაბუკ ლადოს თამაშობს, არამედ პოეტს, რომელსაც ასაკი აღარცა აქვს. განა შეიძლება, ასაკი ჰქონდეს „სალალობოს?“ ლექსი და პოეტი კი რამ გაჰყო.

მსახიობი ხშირად კითხულობს ლექსს, მაგრამ მნიშვნელოვანი ისაა, რომ ყოველი ლექსი, თითქოს, ჩვენს თვალწინ იბადება - ამგვარი ილუზიის შექმნა მხოლოდ ისტატის ძალუბს.

როცა ფიროსმანზე ლექსს წარმოთქვამს, განსაკუთრებულად ამას გახაზავს: „ამაყი იყო... ლადოც ასეთი იყო და იმიტომ. ამ ლექსაც ხომ ლადო ამბობს და არა დიმიტრი ჯაიანი. მსახიობმა შეძლო, ეს დაგვეჯერებინა!“



„მათ შეუძლიათ, დამიჭირონ, ინსტიტუტიდან გამრიცხონ, მაგრამ საქართველოს სიყვარული ვერ ნამართოს ევენებენ!“ - ამ სიტყვებს ლადო არაერთხელ წარმოთქვამს.

მაინც როგორ გდევინან, ლადო!“ - ეს ფრაზაც რეფრენივით გაისმის სპექტაკლში.

„მადლობელი ვარ, შვილო, ხელმწიფებეს რომ არ დაუჩირე:“ - ეუბნება ლადოს დედა.

დედა რამდენჯერმე ვასხენეთ და უცილებლად უნდა ითქვას, რომ მის როლს ნანა ხურითი სინრფელითა და დრამატული ფერებით განასახიერებს.

ეს პრემიერა იყო, მაგრამ განახლებული სპექტაკლის პრემიერა. პირველად ის რამდენიმე წლის წინათ დაიდგა. მაგრამ სულ მალე მსახიობები, რომლებმაც ხელმწიფეს არ დაუჩირეს, თე-

ატრიდან გაუშვეს. და როცა ხალხმა უსამართლო ხელმიწიფე თვითით გაუშვა, ისინიც დაბრუნდნენ. ამ დაბრუნების შემდეგ, სულ სხვა დატვირთვა შეიძინა ფრაზამ, რომელსაც სპექტაკლში დედა ეუბნება ლადოს: „ყველა ხელმწიფე ალიგვება პირისაგან მიწისა, შენს ლექსს კი სიკვდილი არ უწერი.“

მართალია, სპექტაკლს „ირმის უკანასკნელი ბლავილი“ ჰქვია, მაგრამ, მარადიული მყვირალის სიმბოლო მოჩანს.

სპექტაკლში თეატრში მობრუნებულიყველა მსახიობი თამაშობს.

იქნება, ამის გამოც არის წარმოდგენა ესოდენ მართალი, მღელებარე, ცრემლისმომდებრიც...

მერაბ ყოლბაია (მთხოობელი) მშვიდი ინტელიგენტური ბლავილით გვებიბლავს, პაატა ვახტანგიშვილი პერსონაჟების სახასათო შტრიჩების ზომიერად გამოსახვით, რამაზ ხომასურიძე გალაკ-

ტიონის სახის საკმაოდ განსხვავებულად წარმოდგენით... გიორგი რევაზიშვილი, გვანცა კანდელაკი, ხატია ბრაჭული, ნათა იბიშვილი, რეზო გიორგიშვილი, გიგა იმედაძე, რამაზ ხომასურიძე, კატო ხვიჩია, სესილი ადუაშვლი...

ესთეტიკურად დახვეწილი შეკეტაკლში ყოველთვის აშერად იკვეთება მხატვრისის როლი. ანა ნინუს დამსახურება აქცე აღსანიშნავა.“ თავისი“, რასაკვირველია, რეისისორის თანაშემწენებაც (სვეტლანა გოგონია) არ უნდა დაგვუკრებოთ.

ეს სპექტაკლი უფრო მეტია, ვიდრე სპექტაკლი.

ახლა ის სპექტაკლ - აქციადაც კი მოჩანს, თუმცა მთავარი როლის შემსრულებელმა, აფხაზებითის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის მინისტრმა დომიტრი ჯვარიანმა არ ისურვა პრემიერისოფლის ამგვარი შეცეკრილობის მიცემა, სპექტაკლის შემდეგ მხოლოდ ეს აღნიშვნა, ჩვენ დავბრუნდით, სიკეთეზე ბოროტება ვერასოდეს გაიმარჯვებსო.

ამით ყველაფერი ითქვა...

* * *

ქართული თეატრის ისტორიას ამშვენებს მარადისობად ქცეული შეძახილი: „ჰოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ!“

ამ პრემიერას კი ასეთი ყიფინა უფრო მოუხდებოდა: „ჰოპლა, ჩვენ დავბრუნდით!“

* * *

და კიდევ: სპექტაკლის ერთ ეპიზოდში ლადო წატრობს, ნეტა ამღერებული ჩემი ლექსი მანახაონ. პრემიერას ესწრებოდა უსინათლო მომღერალი ლელა ვეფხვაძე, ვინც ცხრა აპრილის დღეებში ლადოს „სალალობოს“ მშენებლი. დაბსწრი საზოგადოებას ეს სიმბოლური ფაქტოციც დიმა ჯაიანმა ამბათ, ეს სპექტაკლის შემდეგ მხოლოდ ეს აღნიშვნა, ჩვენ დავბრუნდით, სიკეთეზე ბოროტება ვერასოდეს გაიმარჯვებსო.

ამით ყველაფერი ითქვა...



ଓଲିନ୍ଦ୍ରମ୍ବମେ ପ୍ରାଚୀନତା -

ქართული კულტურის მნიშვნელოვანი კერა

ბეჭან ხორავა



სოხუმიდან 18 კილომეტრის დაშორებით, სამხრეთ-აღმოსავლეთით, მდ. კოდორის მარჯვენა ნაპირზე ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი დრანდის ტაძარი და მისი სამონასტრო კომპლექსი მდებარეობს.

დრანდის ტაძარსა და მის სამონასტრო კომპლექსს მდ. კოდორის მარჯვენა ნაპირზე, ზღვის მახლობლად მთისინა მღლობის უჭირავს. ვასუშ- ტი ბატონიშვილის (1616-1758) ციხითი, „...მოგევის მდინარისა დასავლით დის კოდორის მდინარე. ამ წყალზე არს ეკლესია დრანდს, მთამ, გუმბათა- ანი, შუენიერი, დიდშენი. ზის ეპისკოპოსი, მწერესი კოდორსა და ანაკოფისი შორისისა ადგილთა“.

დრონის ტაძარი აგებულია ლეთის შობლის
სახელზე. იგი რამდენჯერმე პისი გადაკეთებული,
რამაც მისი შესწავლა გააძნელა. დიდი ხნის განმავლობაში
მიტოვებული და გაპარტახებული ტაძარი
1885 წელს ათონის მთიდან ჩამოსულმა რუსმა ძე-
რებმა აღადგინეს და მონასტერი დაარსეს. XX სა-
უკუნიდან დასაწყისი ტაძარი ხელახლა გადაკეთებული
ჰარძის გადაკეთებისას გუმბათი დადგეს ხის კონ-
სტრუქული რუსული ძეგლებისთვის დასახასიათ-
ბელი „ხახვის თავი“, გააფართოვეს სარგებლები,
დასავლეთით გამართეს ხის პატრონიები (მეორე
სართული) და სხვ. ძეგლის შეგნით და გრძეთ ხალე-
სობით გამოყენილმა დეკორმა მისა თავდაპირვე-
ლი ხუროთმოძღვრული სახე შეცვალა. შეიგნიდნ
და გარედან ტაძარი კირით შეათეთრეს, რის შედე-
გადაც ფრესკული მხატვრობის შემორჩენილ ნაშ-
თებიც გაუჩინარდა.

XIX საუკუნეში დრანდის ტაძრის აგების დრო
ცნობილი არ იყო და მას რესი მკვლევარები მიახ-
ლოვებით VIII-X, XI საუკუნეებით ათასიღმებდნენ. XX
საუკუნის დასაწყისი გიორგი გრიბოედოვილმა ტაძ-
რის სურათისამოძღვრობი ანალიზის შედეგას
მიზნით მცხოვრის ჯვრის (IV ს.) ვარიაციად, გასთან
დაკავშირდულ, მაგრამ შესამწენვად დამრუკიდე-
ბელ ნაგებობად, რომელიც ქართულთან ბიზანტი-
ური ხასიათის მხატვრული ელემენტება შერწყმუ-
ლი.

1978 წელს დრანცის ტაძრის სარემონტო-სა-
რესტავრაციო სამუშაოების დაწყებასთან დაკავ-
შირებით მოხდა ხუროთმოძღვრული ძეგლის გა-
მნენდა და გამოკლევა-შესწავლა, რის შედეგადაც
შესაძლებელი გახდა მისი თავდაპირველი სახის აღ-
დენა.

დრანდის სამონასტრო კომპლექსის ცენტრში გუბაბათანი ტაძარია, რომელიც აგურითა და რიყის ქვითა აგებული. იგი უახლოვდება მცხეთის ჯვრის ტიპს. გეგმაში ჯვრის მკლავები სამიერა მხრიდნობ სწორუკუბურებით ფორმირა. ხელოვნების მიზნებით ცოდნები რუსულად მეტისაშეიღილი ქედს VIII საუკუნის მიწურულით, "აფხაზთა" სამეფოს ჩამოყალიბების პერიოდით ათარიღებს. მისი მოსაზრებით, ტაძარი აგებულია მონველული ხელოსნის მეორ. რაც შეეხება ძეგლის ხუროთმოძღვარს, ის ადგილობრივა, რადგან თუ ძეგლში ერთი მხრივ აქვარაა ბიზანტიური საფუძველი, მეორე მხრივ ჩანს, რომ ხუროთმოძღვარი სისხლხორცეულად არის ჩართული ის შემოქმედებით პროცესებში, რომელიც გრძელდა გავალი პერიოდს (VIII-IX ს.) საქართველოს ძეგლებს ახასიათებს. მკველვართა ნაწილი ტაძრის რ. მეფისისაშვილისუელ დათარიღებას, სრულიად საფუძვლიანად, არ იზიარებს. მ. ხოტელაშვილისა და ა. იაკობსონის აზრით, ტაძრის დათარიღებისათვის მნიშვნელოვანია მისი თანხმელები მასალა - კერამიკა, რომელიც VI-VII ს. თარიღდება. აქედან გამომდინარე, მ. ხოტელაშვილი და კ. იაკობსონი ტაძარს VI საუკუნეს აკუთხნებს. მ. ხოტელაშვილი მიიჩნევს, რომელ ტაძარი პიზანტიულების მიერაა აგებული. ა. იაკობსონის აზრით, დრანდის ტაძრის არქიტექტურა ჰგავს შესაბამისი პერიოდის პიზანტიური ძეგლების არქიტექტურას. ბოლო ხანს, დრანდის ტაძრის აგების თარიღად VI-VII საუკუნეების მიჯნა სახელდება.

ტაძრის ინტერიერი შელეგისილი და მოხატული იყო. მხატვრობა XIII-XIV ს. თარიღდება. როგორც ჩანს, ამ დროს ტაძარი კაპიტალურად შეკეთეს და აღადგინეს. როცა სიძველეთა მკვლევარმა რუსმა

ს. საბლონება 1846 წელს, და ცნობილმა ქართველმა ისტორიკოსმა დ. ბაქრაძემ 1860 წელს ტაძარი მოინახულეს, იქ ფრესკები ჯერ კიდევ იყო შემორჩენილი. ს. საბლონის ცნობით, შედგრძინით კარგად იყო შემორჩენილი გუმბათზე - მაცხოვრის, დასალელითის კარგულება - მიეკუთ მთავარანგელოზის; სამზღვითის კედელზე - ხარების ფრესკული გამოსახულებები; დ. ბაქრაძემ გაარჩია მაცხოვრის, მაცხოვრის ფერის ცვალების და რამდენიმე წმინდანის ფრესკული გამოსახულება.

"აფხაზთა" სამეცნიშვილ VIII-X სს. მნიშვნელოვანი პროცესები წარიმართა საეკლესიო სფეროში, რაც დასავლეთ საქართველოში ახალი ქართული საეკლესიო ორგანიზაციის - აფხაზეთის საკათალიკო-სოს ჩამოყალიბებასთან იყო დაკავშირებული. ამ დღის იქნება ჭყაფნიდის (X ს. I ხს.), მოცეკვის (X ს. 50-60-იანი წლები), ბერიძის (X ს. მიმურული) საკეპის-კოპოსო კავედრები. სწორედ ამ დღის, X საუკუნის II ნახევარში დაარსდა დრანძის საკეპის-კოპოსო.

დროინდება აკეთებულისა მატერიალური უძრავი და

კულტურულ-პოლიტიკურ ცხოვრებას. დრანდის ეპარქიის მღვდელმთავარი დრანდელის სახელითაა ცნობილი. ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით დრანდელის სამწყსოს შეადგენდა ტერიტორია მც კულტურას და ანაკონდის მდიდრებას (ამჟ. ფსრცაც მა შორის). დრანდის საეპისკოპოსოს საკულტო მა ჩაინიშნება სამართლებრივი სისტემის დრანდის, როგორც საკულტო-ფინანსური სენიორის შესახებ, სამწუხაროდ, (ცნობები არ გავაჩინია. რაც შეეხება დრანდელებს, მათ შესახებ მჩრალი და ფრაგმინტული ცნობები დაცულია ქართულ და უცხოურ წერილობით წყაროებში, თუმცა ნათლად ჩანს, რომ დრანდა ქართული კულტურის მნიშვნელოვანი კერა იყო. ოლქისნიშვანია ცხოვრის რიტ დრანდელებს მნიშვნელოვანი ლვანლი მიუძღვით საზღვართის ქართული საგანგების - იერუსალიმის ჯვრის მონასტრის, სინის მოთის ქართული მონასტრისა და სხვათა ნიბში.

დღეისათვის ცნობილი პირველი დრანდელი
საბა ეპისკოპოსი. დიმიტრი ბაქრაძეს და შემდეგ ექ-
ვთიმე თაყაიშვილს ზემო სვანეთში, ლენჯვერის ო-
მის სოფ. ლაშტხევრის მთავარანგელოზის ეკლესი-
აში უნახავთ იოანე მახარებლის ხატი (წმ. იოანე მა-
ხარებელი კარნავალის სასახლების ტექსტს წმ. პრი-
სტორებს), დამზადებული საბა დრანდელის დაკვე-
თით. ხატი არის ნაჭედი, მოოქროვილი ვერცხლის
21X17, 5 სმ. ზომის, ხაზი, ბრწყინვალური ქსოვიული ხე-
ლობის. ხატზე ამოტვითრული წარწერა გვაუწყებს
“წმიდაო იოანე მახარებელი, ადიდე საბა დრანდე-
ლი”.

გიორგი ჩუბინაშვილმა ხატი XI საუკუნის პირველი მესამედით დაათარილა. ამ ხანის მოღვაწეობა საბა დრანდელი, რომელსაც მოსდევს დრანდელი ეპისკოპოსი არსენი. დათ ქართველი სასულიეროდ და საზოგადო მოღვაწი, მხერლისა და მთამარშნელის გიორგი მთამინდელისი (1009-1065) "თუენის" (XI-XII ს.) ხელნაწერში, სექტემბრის თვის კანონის ბოლოს მინერილია: "სრულ ოქმია სეკდენბერ მონცალებითა ღმრთისათა. ყოველთა წმიდათა სიმრავლეთ, დაიფარეთ ორითავე სუფევითა, სულიერითა და ძხოვილითა, არსენ მამამთავარი დრანდელი. ამენ". ამრიგად, გიორგი მთამინდელის "თუენის" სექტემბრის მასალის შედეგანაში მონაწილეობა მიმდინარეს არსენ დარღვეულს. ამდენად, იგი XI საუკუნის შუა ხანების მოღვაწეა.

ელები თერთულევანი, რომელია აც საფუძვლით
გამოკვლეულა „უძღვნა ჯვრის მონასტრითა ალაპებს
დაადგინა, რომ ნუსხის ძირითადი ნანილი, რომელ-
შიც გრიგოლ დრანდელის აღავა შეტანილი, დანე-
როლ უნდა იყოს XIII ს. მინურულსა თუ XIV ს. დამ-
დეგს (1306-1307 წლებამდე). თუმცა მკვლევრი
იმასაც აღნიშნავს, რომ ნუსხის ძირითადი პლასტიკის
იმ პირთა ცხოვრების ხანა, რომელთა სახელებიც
წყაროებმი დაიძებნა, XI-XIII საუკუნეებით იფარვ
ლება. ამავე თარილით შემოიფარგლა ე. შეტრევე-
ლის მიერ ეს პლასტიკა, რაც იმს ნიშნავს, რომ და-
ნარჩენი პირები, რომელიც სხვა წყაროებში არ ჩა-
ხანა, მათ შორის გრიგოლ დრანდელიც, ამავე ხანის
მოღვაწენი არიან. ამრიგად, გრიგოლ დრანდელის
მოღვაწეობის ხანა ზოგადად XI-XIII სს. განისაზღვ-
რება.

ალასანიშვავის, რომ იერუსალიმის ჯვრის მონასტრის მთავრის ფრედერიკ გამოსახული მისი მომხატველი ლი გაბრიელ დრანდელი. ე. მეტრეველის აზრით აღაპის გრიგოლ დრანდელი და ჯვრის მონასტრი მომხატველი გამოცელ დრანდელი ერთი და იგივე პირის, როგორს ნარჩენის გვანძლელმა განმასხვლა ბეჭმა, როგორც ჩაას, შეცდომა დაუშვა და გრიგოლის ნაცვლად დრანდელი ნარჩენაში გაბრიელი სახელით მოიხსენია. გრიგოლ დრანდელს, რომ გორც ჯვრის მონასტრის მომხატველს, სავარაუდოა, რომ სიცოცხლეშივე ჩაუნერეს სვინაძესარა აღაპი, ამასთან მონასტრის კედელზეც გამოსახელა. სინის მთის სულთა მატიანეზი იხსნებისა დრანდელი მცვდელმთავარი ხილოლოზი. სინის მთის სულთა მატიანეზი XIV-XVI სს. ძეგლია გვანძლელი მონარქებითი. იგი არსებითად სინოდიკა, ანუ კეთილისშემოვლთა მოსახსენებელი. მასში შეტანილი საერთოქრისტიანულ და ქართველ წინძანობი ქართველ მეფეთა და დედოფლთა, სამცვდელო და საერო პირთა მოსახსენებელები. სინის მთის სულთა მატიანის ჩვენთვის საინტერესო ფრაგმენტი შერულებულია ტექსტის ხელით. მასში ნათევამი "სულსა ლუქემბილისა ქათალიკოსისა ოქროპირისა და მისთა ძეთხა შ-ს ღ-ნ. სულსა მათიანის გვიპოლი ბეჭედილის აზაბარეს და მისთა მშობელთა შ-ს ღ-ს სულსა მთავარებისკოპოზიზის გორგის შ-ს ღ-ს სულსა დრანდელისა ნიკოლოზს შ-ს ღ-ნ; სულსა ჯვრისა მონასტრისა მამას იოსებს შ-ს ღ-ნ; სულსა მანაცუერელსა პიმენს შ-ს ღ-ნ".

ცნობილია, რომ სულთა მატანებში პირის
მოსახლეობის გარკვეული ქრიზოლოგიის დაც
ვით შეჯერდათ. ღუნძელი კათალიკოსი ოქროპე
რი, იგივე ხუნზახის მიტროპოლიტი, XIV საუკუნის
მოღვაწე, ქართულ საისტორიო წყაროებში ხუნძე
თი დღვევანდელი ავარიის (მთიანი დაღესტანი)
ხელონდება. იოსების ჯვარისმამბა, ე. ი. ერუსა
ლიმის ჯვრის მონასტრის წინამდღვრობა XIV ს. მო
წურულითა და XV ს. დამდეგით თარიღდება. პიმი
მანევრელიც XIV ს. მიწურულისა და XV ს. დასაწყ
სის მოღვაწეა, XV ს. დასაწყისის ჯვარისმამბა. შესა
ბამისად, XIV ს. მეორე ნახევრით განისაზღვრება
ლაზარე ბეგელის მოღვაწეობა. ამ პერიოდ
მოღვაწე ჩენის ნიკოლოზ დრანდელიც.

XV ს. მანუქრულითა და XVI ს. დასაპყისით შეიძლო განისაზღვროს თევდორე დრანცდელის მოღვაწეობა. იგი იხსენიება თოფურიძისთვის სასისხლის სიგელში, რომელიც პირობითადი იმერეთის მეფე ალექსანდრე II-ის (1484-1510) ზეპიტ თარიღდება. შემდეგი დრანცდელი მღვდელმათავარია ელია, რომ მელიც მოქვისა და დრინდის კათედრებს განაგებდა. იგი იხსენიება მოქვის იმოფორის ნარჩენაში სადაც ნათქვაშა: "ამ იმოფორისა მომჭირნებულ მოქველ-დრანდელ მთავარეპისკოპოსსა ელისა ს ლ-ნ". მოქვის იმოფორი XVI ს. I მესამედინა შეკრილი. ამ ხანის მოღვაწეა მოქველ-დრანდელი მთავარეპისკოპოსი ელიაც.

არსებული დოკუმენტების თანახმად, დღიური
კათედრას XVI საუკუნის 40-იან წლებში მიტროპოლიტი ფილიპე განვიხედდა. XVI ს. შუა სახენძში, დაახლ. 1543-1549 წწ. ძორის, იმერეთის მეფის ბაგრატ III-ის (1510-1565) ჩიტიცატივით მოწვეულ იქნა და
სავლეთ საქართველოს საეკლესიო კრება ზემომდებ
დაქვეითებისა და საეკლესიო წეს-ჩევეულებების
დარღვევების გამო გარკვეული ზომების მისაღლ
ბად გახუჭმი ბატონობრივილის ცნობით, „უმთა ასა
შინა... იქმნა განტევება ცოლთა, კვლა კაცთა და
იდუმალ ტყვის ყიდვა და უჯერონი სჯულსა ზედ

მრავალი იმერეთსა შინა”。 საკულტურისო კრებას ესწ-
რებოდნენ ქართლის კათალიკოსი მალაქია, აფხა-
ზეთის კათალიკოსი ევფემიე და საყვარელოძე და
“ყოველი გენის კოპორაციის იმერეთ-ოლგიშისან”, მთა
შორის, დრანგლელი მიტრობოლოგი ფილიპე, საკუ-
ლტურისო კრებამ მცაცრად იმსჯელა აღნიშვნულ სა-
კითხებზე, ჯეროვნი შეფასება მისცა მათ და საკუ-
ლტურისო და ზნეობრივი ნორმების დასაცავად “სა-
მართალი კათალიკოსა” შემოუშავა.

1630 წელს ჩერქეზთასა და საქართველოში
იმოგზაურა დომინიკანულთა ორდენის ბერძა, იტა-
ლიელმა მისიონერთა ჯოვანი ჯულიანო და ლუკა.
1 ივნისს გემი, რომელიც იტალიური მიყვანელი
იყვიფულია, სოხუმიდან გვივიდა და ოდიშის სამ-
თავროს ნაგარადგურ სკურჩაში ჩავიდა, მდ. კოდო-
რის შესართავთან, სადაც მას მთავარების სკოპისი
დრანდელი დასვდა. დრანდელს დადი შთაბეჭდი-
ლება მოუხდენია იტალიელ მისიონერზე, დოდებუ-
ლი პიროვნებაა მღვდელმსახურის სამრესელში,
წერს იგი ქართველ მღვდელმთავარზე. დრანდელ-
მა დომინიკანული მისიონერი ეპარქიაში მიიჩნია.
"ერთ-ერთ მანალ ადგილზე განლაგებულ მის ეპ-
ლესიას, - წერს ჯოვანი და ლუკა, - ეწოდეთა წმიდა
ანდრიას ეკლესია - საქამიან ლამზი, შევინიერი
ძველი ფორმის თითბერის შანდლებით მორთული.
სამრეკლები არის ოქროთი მოვარა ყებული კაპე-
ლები, სხვადასხვა მხატვრობით და ძველი გობელე-
ნებით მორთული".

ანდრია პირველობდებული ტრადიციით დასავალეთ საკართველოს განმანათლებლად მიჩინებოდა, ამიტომ წმ. ანდრიას სახელობის ეკლესიები დასაცლეთ საქართველოში მრავლდა იყო. საფოქრებელია, რომ დრანდებულმა იტალიელი მისიონერი დრანდის საკართველო ტაძარში მიიღო. სამწუხაროდ, არ შეგვიძლია ვთქვათ, თუ სად იყო წმ. ანდრიას სახელობის ეკლესია დრანდის ეპარქიაში, სა-

დაც დრანდელმა იტალიელი მისიონერი მიიღო.
 12 ივნისს მთავარეპისკოპოსა და დრანდელი და
 ჯვევანი ჯულიანინ და ლუკა ოფიშის მთავარინი,
 ლევან II დადიანიათა (1611-1657) შესახევდრად გაე-
 მართნებ და ათი დღის შემდეგ შევეღნენ მას. მთა-
 ვარმა დიდი პატივისცემით მიიღო ისანი. დრან-
 დელმა იტალიელი მისიონერის პატივსაცემად სპე-
 ციალური სადილი გამართა, რომელსაც ესწრე-
 ბოდნენ: ჯვევანი ჯულიანინ და ლუკა, ლევან II და-
 დიანი, ოძონის ექვსი ეპისკოპოსი - ჭყაფდელი,
 ბედიელი, მოქველი, ცაიშელი, წარმჯობელი და
 თვით დრანდელი; კახეთის მეფის თემიურაზ I-ის
 (1606-1648) ელჩები და რამდენიმე სპარსელი ვაჭა-
 რი.

ლუვან II დადიანის ბრძანებით, პეტრებავლობის
დღესასწაული 29 ივნისს (ახ. სტილით 12 ივნისი)
დიდი ზეიმით ალექსიშვილ დრანდის ღვთისმობ-
ლის საკათედრო ტაძარში, რომელსაც ჯოვანი და
ლუკა დასწრებია. ზეიმის შემდეგ იტალიურ მისი-
ონერს წმ. ანდრიას ეკლესიაში წირვა ჩაუტარებია.
დომინიკანური მისიონერი იღავში სამთვებახვა-
რი დარჩა, შემდეგ იგი დრანდელმა ქობულთამდე
გააცდლა, საიდან ც ტრაპეზიუნტი გაეგზავნო.
სამწერალო, იტალიური მისიონერი კრ იხსენებს
დრანდელი მთავარების სკოპოსის სახელს. საფიქრე-
ბელია, რომ ეს დრანდელი მღვდელმთავარი ევდე-
მინ ჯაიანია.

ევფემონ ჯაიანი ცნობილი პირია. მისი დაკვეთით მოიხატა 1648 წელს ლევან II დადანის ეკვდერი წალენჯიხის მაცხოვრის ეკლესიაში. ამ დროს ევლემონ ჯაიან წალენჯიხის ეპარქიას განაგებდა.



ერის მექურჭლეთუხუცესის საიუბილეოდ

საჭრები თორიც

ექვთიმე თაყაიშვილის
სახლ-მუზეუმში

ნებისმიერმა ქართველმა იცის ქართული სა-
განძურის მცველის ექვთიმე თაყაიძევილის საზოგა-
დოებრივი საქმიანობისა და სამცუნიერო ღვაწლის
შესახებ. თუმცა, ალბათ, ბევრისთვის უცნობია,
რომ თბილისში, სადაც ის ბოლო რვა წელი ცხოვა-
რობდა, ვაშლოვანის ქუჩის №6-ში წმიდა ექვთიმეს
ბინა-სამღლოცველო მუზეუმია. აქვე ექვთიმე თა-
ყაიძევილის სახელობის დარბაზიზე. სწორებ ამ წმინ-
და ადგილა 3 დეკემბერი აფხაზეთის ა/რ განა-
ლებისა და კურტურის სამინისტროს მხარდაჭე-
რით, სსიპ კინოცენტრ „აფხაზეთის“ და აფხაზეთის
შემოქმედ ბაგშეთა კავშირის „მომავლის ხმა“ ორ-
განიზებით გამართა საღამო, რომელიც მიეცდონა
უკავთიმე თაყაიძევილის დაბადებიდან 150 წლის

მონებულ სტუმართა შორის იყვნენ: სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი გრიგოლ შარია, აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის მინისტრი დიმიტრი ჯაანი, აფხაზეთის უმაღლესი საჭიროს თავმჯდომარის მოადგილე თამაზ ხუჯაშვილი, აფხაზეთის ა/რ დევნილთა საქმეების დეპარტამენტის თავმჯდომარი დავით გვაძძინი, აფხაზეთის ა/რ მინისტრი განასაკუთრებულ დაგვალებათა საკითხებში ლელა გულედანი, ექვთიმე თაყაიძეშვილის საქვევლომოქმედო ფონდის ხელმძღვანელი ნინო მამართაშვილი.

შეცვერდის დაწყებამდე ექვთიმე თაყაიშვილის ბინა-სამღლოცველო მუზეუმის დირექტორმა სატუმ-რებს დაათვალიერებანა ექვთიმე თაყაიშვილის დარბაზი, რომელიც 2003 წლის 19 მაისს, საკართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით გაიხსნა.

სალამოს უძღვებოდა პროექტის კოორდინა-
ციონი ნონა ბერაა. 2013 წელი იუნესკომ ექვთიმე-
თაყაიშვილის საიუსტილო წლის გამართაც და-
სწრედ ამ კორის მიერგვნა სასაცლო-საგანგა-
ნათლებო შემეცნებითი კვირაულის შემჯამებე-
ლი შემოქმედებითი სალამო „ირის მაჭარალითა-“

სელნარერთა ეროვნულ ცენტრში ამჟერად, 25 დეკემბერს ექვთიმე თაყაიშვილის 150 წლის იუბილესადმი მძღვნილ საღამოს ხელნაწერთა ეროვნულმა ცენტრმა უმსპაიბდა. სსიპ კინოცენტრ „აფაზზეთის“ ორგანიზებით, ამ დღესვე გაიმართა საგანმანათლებლო - შემცნებითი კონკურსის „ექვთიმე თაყაიშვილი - მეცნიერი, საზოგადო მოღვაწე და ღვთისკაცი“ შედეგების შეჯამება. საღამოს დაწყებამდე მონანილებმა ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის ტაძარი მოილოცეს და „მეჭურჭლეულუცესის“ ძეგლი გვირგვინით შეატყისა. პროექტში მონანილეობდნენ ქართული და აზერბა- ქიურევის მონანილეობდნენ ქართული და აზერბა- ქიურევის

იჯანულებოვანი საკვარი სკოლების, ასევე ოკუპირებული გალის რაიონის, ცხნივალის რეგიონისა და ისტორიული ჰერეთის სკოლების მოსწავლები.

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის საგამოფენო დარბაზში შეკრებილმა საზოგადოებამ ეკვთომი თაყაიშვილის მიერ გადაჩქრენილი ხელნაწერები დაათვა-

საბინა პატივისცემასა და სიყვარულის გაძლიერებას
ისტორიულ თემებზე მუშაობისა და კვლევისათვის
განვითარება.

და ეს მნიშვნელოვანია იმითაც, რომ ენგურს გაღმლო შეხება აქვთ აფხაზურ ტრადიციებთან.



ხუცესი. „როგორც ნინა ბერაიმ აღნიშნა: „კვერუ ულის ფარგლებში აფხაზეთის საჯარო სკოლის მოსწავლეები სიღრმისეულად გაეცნენ ექვთიმე ცხოვრებასა და მოღვაწეობას, მოეწყო ფოტო-გა მოფენები, მოზარდები და ათვლერეს საქართველოს ეროვნულ მუზეუმის განხილავადა.

კითხებს საკუთარი ლეგენდა და ჩახახატეტი ექვთო
მეს საფრანგეთისა. „ნინო ბერიამ თანადღომისთვის
განსაკუთრებული მაღლობა გადაუსახა მუშაუმის
დირექტორსა და ექვთიმე თაყაიშვილის საქველ
მოქმედი ფონდის ხელმძღვანელას ნინო მაბარდაშ
ვილს, რომელმაც თავის გამოსცვლაში პრანა: „მო
ხარული ვარ, რომ გმასპინძლობით აქ, სადაც ექვთო
მემ სიცოცხლის უკანასკნელი წლები გაატარა. ჩვე
ნი მიზანია ვაჩვენოთ მომავალ თაობას, თუ როგო
რი უნდა იყოს მამულიშვილი, ექვთიმე კი ამის ნა
თელი მაგალითია. თითოეული ქრისტენისთვის
ექვთიმე თაყაიშვილის დიდ განვითარებით და გმირო
ბით მოგვიროლ სიამაზებზე ისაუბრა აფხაზეთის ა
განათლებისა და კულტურის მინისტრმა დიმიტრ
ჯაიანმა: „ძალიან მიხარია, რომ დღეს ექვთიმე თა
ყაიშვილის სახელობის სახლ-მუზეუმი გვმასპინძ



დეს პროექტის ორგანიზატორებს: ლეილა თორიას
ლეილა ბალბაიას და მედეა ზუხბაიას.

კონკურსი მოსწავლეთა აქტიურობითა და შესაბამისად, ნაშრომთა მრავალფეროვნებით გამოიჩინა. 50 - მდე ნარმოდგენილი ნამუშევრიდან კონკურსის უზრუნველყოფითობა გამოარჩია. 1 ადგილი მიენიჭა ჭუპურხიძის მიერთებით. 1 საშუალო სკოლის მოსწავლეს მარიამ გერგეგავას, ვ. ადგილით თეორიიწყაროს მუნიციპალიტეტის კონდის საჯარო სკოლის მოსწავლე დალი ხარამეგიძის, III ადგილით ჰერთის საშუალო სკოლის მოსწავლეს ლევან ოთარაძეგიძის. ჟურნალის რჩევულად კი მარწეულის სკოლის მოსწავლე თურქელი ნაბიეგვა დასახელდა. გამორჯვებულებს აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის

შემსრულდებოდა ვახტანგ ყოლბაიძე საჩუქრები გადასცა. კონკურსში გამარჯვებული ასევე დაასაჩუქრა ასლოვაცია „მშევიღობა და განათლების“ თავმჯდომარებ ბელა კოპლიანმა. ხელანწერთა ეროვნული ცენტრის დორექტორმა ბუბა კუდავამ ათ პედაგოგ წიგნები უსახსოვრა, ხოლო კონკურსის ყველა მონაწილეს სერთოიდ ატიკი გადაეცა.

აფხაზეთის მოზარდთა კონფერენცია „აფხაზეთის ეთნოგრაფია“

საკუთარი ინფორმაცია. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის კულტურული დაბაზში, აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამისამართოს ორგანიზებით, აფხაზეთის საჯარო და ოკუპირებულ ტერიტორიაზე განთავსებული სკოლების მოსახლეთა კონფერენცია – „აფხაზეთის ნოღებისა და სოფების გამართა კონფერენციის ფარგლებში მოზარდებამ წარმოდინება ნაშრომები თემაზე: „აფხაზეთის ისტორია/ეთნოგრაფია უძველესი დოკუმენტებიდან დღემდე“.

აფხაზეთის მოზარდთა კონფერენცია 2010 წლიდან იმართება და მასში ბანილე მოსახლეთა რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება. წლეულს დაფინანსურიცამი მინისტრის განაცხადი 43 ახალგაზრდად გააკეთა, ხოლო ნაბეჭდები 26 მათგანმა ნარჩობდნენ. ალიშვილსვა, რომ აფხაზე მოზარდთა კონფერენციაში მონაცემების სურვილი წლეულს პირველდ არადევნილმა მოსახლეებმაც გამოიტვეს. საუკეთესო ნაშრომის ავტორებს სიკეთებით და ასაიანი საჩქრებით დააიღოვდნენ.

კონფერენციის მიზანი იყო მოზარდებში ისტორიული ფასეულობები-იმი პატივისცემისა და სიყვარულის გაძლიერება, გაუცხოების დაძლევა, ტორიულ თემებზე მუშაობისა და კვლევისათვის საჭირო უნარ-ჩვევების ვითარება.

ଶ୍ରୀମତୀ ପାତ୍ନୀ କୁମାରୀ ଦେବାନ୍ତିରୁ ଏହାର ପାତ୍ରମାତ୍ରରେ ଉପରେ ଅଧିକ ପରିଚାଳନା କରିବାରେ ଅଭିଭାବିତ ଥିଲା । ଏହାର ପାତ୍ରମାତ୍ରରେ ଉପରେ ଅଧିକ ପରିଚାଳନା କରିବାରେ ଅଭିଭାବିତ ଥିଲା ।



უცხოეთში დაფარტული თანამემამულები რამდენიმე არიან და რამდენგან. ავთო და ნანა ჯეჯეების ოჯახიც მათ რიცხვშია. ისინი გაღიდან - კალიფორნიაში, სამშობლოსგან ოკეანით გამიჯნულები აღმოჩნდნენ. ავთოს და ნანას თან იღბალი აედევნათ, მათ იპოვეს თავიანთი ადგილი შორეულ ამერიკაში. შემდევ კი თავიანთ ქალიშვილებს - თამუნასა და ნინოსაც ადგილად გაუკაფეს გზა, გოგონებმა სკოლა შტატები დაასრულეს. მერე უფროსმა თამუნამ ჯერ AUSTIN COLLEGE დაამთავრა საერთაშორისო ურთიერთობების განხრით და სწავლა GEORGE WASHINGTON UNIVERSITY-ში გააგრძელა. ის ვაშინგტონშივე მუშაობს და ცხოვრობს მეუღლესთან - კარლთან ერთად (ისინი თანაკურსელები არიან). ნინომ კოლეჯის მერე UC DAVIS (კალიფორნიის უნივერსიტეტი) დაამთავრა, ფსიქოლოგიის ფაკულტეტი და კალიფორნიაში მუშაობს.

ნანა და ავთო თითქმის ყოველ წელს
ჩამოდიან საქართველოში და მონატრე-
ბას იქარვებენ. ნანა ხშირად, დღის ბო-
ლოს ფურცლებთან მარტოვდება და ნარ-
სულში ბრუნდება - გალსა და მის ქუჩებ-
ში „დახეტიალობს“. ეს პუბლიკაციაც
ერთ-ერთი ამგვარი „ხეტიალის ჟამს“
არის დაწერილი და საოცარი ემოცია მო-
აქვს ჩვენამდე.



የኢትዮ ቤተክርስቲያን

၅၁၃ အေကာင်

ბევრი ლამაზი სიტყვათა წყობა მიკარნახა
გონებამ, მაგრამ გულმა ჭირველი დედინაც-
ვალივით არც ერთი მიიღო, გერივით ყველა
კუთხესთან დაყენა და ბოლოს სათურად, უძ-
რალოდ, „ბელა გეგია“ მირჩა.

ის და მამა ბიძაშვილ-მამიდაშვილები იყვნენ. მამები ორივეს ადრე დაეცუპათ - მამიდას 33 წლისა, მამაჩემს კი უფრო ახალგაზრდა, 37 - ში დაუხერიტეს... ბებიაჩემი მხოლოდ 22 წლის იყო, შუალამისას მისი მეუღლე ტყავის ქურთუკიანმა კაცებმა რომ სახლიდან გაიყანეს. ტატუშა ერქვა მას, მაგრამ განსაკუთრებული სიყვარულით ყველა ტაჩიას, ტატის ეძახდა. თავისი ნებით და გადაწყვეტილებით, მამისეულ სახლში ერთადერთი შევილით მობრუნებული, დედასთან, რძალთან და ძმისშვილთან ერთად ცხოვრობდა. ბევრჯერ გამიგა, ძმილის წინ ლოცვისას ჩვენს ჩამოთვლას რომ მორჩებოდა, ძმისშვილს და მის ოჯახს შეავედრებდა უფალს: „ლმერთო, შენ მიმყოფე კარგად ჩემი ბელა და მისი შვილები“ - ო. უკაცო ოჯახში იზრდებოდნენ ერთად. მამიდას დედა აფხაზი ჰყავდა, მექვაპიას ქალი. „თავიარა მამა“ - ასე ეძახდა მას ყველა. ცალკე თემაა მამაჩემის რიდი, სიყვარული და პატივისცემა მის მიმართ. პატარების აღზრდას ცაცუ ბებიას სიბრძნე და ტაჩიას დაბალანსებული ხასიათი ავსებდა. ყველას თავისი მოვალეობა ჰქონდა და რადგან მამები არ ჰყავდათ, ბავშვები ორმაგ სიყვარულს იღებდნენ ქალებისგან.

30

ჩემს ქალაქეს ეს გზატკეცილი გასდევდა
მთავარ მაგისტრალად და ამ ქუჩაზე ცხოვ-
რობდნენ ისინი. რა შემონახა ჩემმა მეხსიერე-
ბამ, სად იწყება და სად მთავრდება ეს გზა? იქ-
ნებ, მისი დასასწყისი ეთერიების „ძეგვენებზე“
შემდგარი ხის ოდა სახლია, რომელსაც წინ ხე-
ებად ქცეული თერთო და ვარდისფერი კამელი-
ები ამშენებდა. მაშინ მე ჯერ არ ვიცი, რომ იქ
ჩემი გულნარა მასწავლებელი ცხოვრობს, მაგ-
რამ მაინც ვჩერდები და ეზოს სიღრმეში ვიხე-
დები (არ ვასრულებ დედა-ბებიას თხოვნას),
„ნუ აიტუზები გოგო ეთერიების ჭიშკართან,
ყვავილების მეტი რა გაქვს დედა ეზოში“). ან
უფრო მიმშორებით ფუფას სახლთან ხომ არ
იწყება ეს გზა, იმ ფუფასი, ყველას ჭირისუფა-
ლი რომ იყო, მე სიყვარულით „ქულუს“ რომ მე-
ძახდა და ყოველთვის რომ პერნდა ჩემთვის
კამფეტები გადანახული. ეს ის ფუფა იყო, თა-
ვის დას რომ ობობას ქსელივით დახლაროული
ძაქებით გლოვობდა და საოცარი, სუფთა ურ-
თიერთობა პერნდა მამაჩემთან. სახლში სკუმ-
რად მოსული, ტახტზე ბავშვივით მიუწვდობდა
მას გვერდით და სანამ დედაჩემი გამჭვირვალე
ჭიქით ლიმინან ჩაის მიართმევდა, დაღლილ-
დაქანცულს უკვე ეძინა. მამა ფრთხილად და-
გებოდა, ძაქებს ამოუკეცავდა, რამეს დააფა-
რებდა და ჩვენ ხმაურს აგვირძალვდა.

წლების შერე, როცა აფხაზეთი დაიკარგება ჩვენთვის, ყველაფერი, რაც ლამაზი იყო იქ ბინძისაფერს გადაკრავს და მხოლოდ მოგონებებში აულვარდება - ფუფას დედაჩემი გაალა მაზებს და გააცილებს თავის სიყრმის შეიღ-თან, აბიკოსთან, მარადისობისკენ მიმავალ გზაზე... გზადაგზა ჩემს სკოლასაც გაუცელი, მეოთხე სკოლასაც გაეხედავ, ევალიატის ხე-საც მოვეფერები, დრო და დრო კანს რომ იცვა-ლის და ტანი თეთრად უელავს, ერთი ნერგის გან ოთხი გიგანტი რომ ამოზარდა და მის ქვეშ გავლისს დედაბებია პაერის ღრმად ჩსუნთ-ქვას რომ მაბარებდა ყოველთვის (ასე სჯერო-და ევეალიპტის ყოვლისშემლეობისა ფარმაკო-ლოგიაში), იქნებ, გამიმართლოს და გზად ჩემს უსაყვარლეს მასნავლებლებსაც შევევთოვ გულნარა ხაბურაძანიას, ვარა ფილიშვილს, მა-ლუზა გოცირიძეს... მერე ქუჩის ბოლოსკენ წა-მოვალ, სადაც ჭიჭიკო საბულუას უცნაურად ლამაზთალებინი და გუშბათებიანი, პატარა, კოხტა სახლი დგას. გავიხსენებ „ჯალვაშ ქვან-ქვა“-ს რომ მექანდა და დღესაც რომ არ ვიცი, რას იშნავს, მაგრამ მაინც სითბოთი მავსებს და მის მიერ მოსულვიდან ჩამოტანილი პლისე-ფორმით დამშვენებულ არაერთ პირველ სექ-ტემპერს მაგონებს... იქნებ, ქუჩის შუაში იწყე-ბა ჩემი მოგონება, სადაც სახლის აივაზზე თო-რიებს დედის ულამაზესი სურათი შემნელე-ბინებს ნაბიჯს, შემაჩერებს, მერე ისევ რომ გა-დავდგამ და ახლა იქვე, მზია ნაყოფიას წარტე-

ბაზიდეული სურათიდან გადმოსული მომნუსს ველა მზერა გამაქვეცებს? თუ მეორე მხარეს გადავიდე თოროდიების ეზოსკენ, ჭატა დეიდორმდ აუცილებლად შემაყოვნებს, ცის და პარის ამბებს გამომგითხვას, ათას მოკითხვას დამაბარებს და გერსამიერის ეზოს ბოლომდე გამომყება, იქიდან კი დადიანებს გავუვლი დამამიდას ეზოში შევალ?

* * *

სიცყარული ეწვია მამიდას, მალევე დაინიშნა. „ფერი ფერს და მაღლი ღმერთსაონ“ რომ იტყვიან, ისეთი წყვილი შეიყარა. წარმოსადეგობული ჩაუკაცი ჩანდა სასიძო, მასაც ახალი დამთავრებული ჰქონდა უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტი. გამოცოცხლდა გეგიბის ეზოს სიხარულით აიგსო და ბედნიერებით დაიმუშატი ირგვლივ ყველაფერი. დაუზარებლად იკრება ბოდა ფარჩა და აპრემუმი, უნაზესი ფერებით იქარგებოდა თეთრეულის კიდეები. ვერ აუდიოდნენ დაპრძენებული დეიდების მიერ ოჩამჩირიდან, სოუმიდან და გაგრიდან ჩიმოტანილ საჩუქრებს. თავიანთი ხელით და დიდი ბაბუი - გიორგი გეგიას ნაქონი არშინით ზომავდნენ ქაშიმირის და შალის ძვირფას ნაჭრებს და ჩემოდნებში ალაგებდნენ (პარგად მახსოვა ის საზომი, მაუდგადაკრულ საწერ მაგიდაზე იდო ქალაქში ერთ-ერთი პირველი ტელეფონის ნომრით 3-63, გასწრივ და ხელის ხლებაც აკრძალული გვქონდა ბავშვებს). შაბათობით თამარა მამას ნათესაობა ჩამოდიოდა სტუმრად ასე მგონია, სამეზობლო თითოს წვერებზე დგებოდა მათი პატივისცემის ნიშნად, იმსახურებდნენ ამ კეთილ განწყობას და იმიტომაც... არავის ტოვებდნენ თავზე ხელის წრიული შემოვლებსა და გულწრფელი „სქან გოლუაფრო მას (შენ შემოგვლე მე) გარეშე. წლების მერე, და კარგულ აფხაზეთში, მამიდას გასვენებაზე, მისევ გავიგონებ მათგან „სქან გოლუაფრო მას“, მაგრამ თავშეკავებასაც შევატყობ დკვერც თავზე წრიულად შემოვლებულ მარჯვენა ხახოს აღმარცვა თვალის...

* * *

ერთში ღრმად ვარ დარწმუნებული, მიუხედავად უმატობისა, შიში არაფერ შუაში იყო. ამზე და თამარა მამაზე ფიქრისას, რატომდაც ყოველთვის ეს ფრაზები მახსენდება: „იქნება ვეფხის დედა ჩემებრ დღედალამ სტირისა / წავიდე მეც იქ მივიდე, სამძიმარ ვუთხრა ჭირისა / ისიც მიამბობს ამბავსა / მეც ვუთხრა ჩემი შვილისა“ ... ყველა სოფლის თუ ქალაქის მეხსიერებას გადაუვლის ძევლი ამბების მოგონებათა ქარიშხალი დრო და ჭირ-მართალს ისევ აურევ-დაურევს და ჩანყნარდება... მხოლოდ, მამიდას მისამართით არასდროს გამიგია ვინ-მესგან თქმული საყვედური. ეს მისი ზნებრი-ვი სისპეტაკის და კდემის სამადლობელია, ალ-ბათ, გაოლებისაგან...

օստի, քանդակագույնը...
Ժրման մժոնարքեած ռա Տյահերբեծ ճա Եթօղ-
րեա տազուս ց թուու ճազուած, մամօնա չոյշութագ
ցալմու ցատեղովգա, սաևոնմ յո ևեցա հաօռոնիցան
Շյորտու յալու. որոցը ոչաես մննժեցնլոցան
ագոլու յացա յալայիս Եթօղըրեա՛մ. տազուս-
ծյորած ամժշցնեցնցն ճա ամշոնցն մաս. սամսա-
նշյորեցնու յորտուցնուու ենորած պահապատ,
ևեցա մերու յացա արասգրու ցադա յատուլա մա-
տո ց թիցն... մոտա (մամօնա մյուլլց) մալուն
յարցու ադամուն ոյս, ուսուց ոյրուստու ցաելլածտ.
ացեանցուու ոմիս դրու սաթլուուն ցայցանցը
ճա յցին-յցի լուու ճա ուցարցա, մամօնա մուս սա-
մենցնուած հապմշուլու րանուն յալաման Շըմուպ-
ուած յուղու, մացրամ յալս յորնած մուախո...

“ცხრა მზისდარი ქართველის” გამოფენა

ნათე კორსანისა

დამეთანხმებით, ცოტა არ იყოს, უჩვეულო სათავრია. პირველად შეც მეუცნაურა, როცა მას ინტერნეტ-სივრცეში ნავაწყდა. თუმცა ინფორმაციამ, რომელსაც ასე ერქვა, ძალიან გამასარა და ახლა ეს განცყობა თქვენც მინდა გავიზაროთ.

„ცხრა მზისდარი ქართველის გამოფენა“ ასე მრავლის მეტყველად და სიმბოლურად სანკტ-პეტერბურგში, ნევის პროსპექტზე, მსატვართა საერთაშორისო ასოციაცია IFA-ს საგამოფენო დარბაზში წარმოდგენილი ექსპოზიციისთვის საცულისშორის, რომ გამოფენის მონაწილე ცხრავე მხატვარი -



შაქრო ბოკუჩავა, თენგიზ ხარბედია, ლერი მაჩალაძე, ალექსანდრე ბოიაჯინი, რევაზ უვანია, ლევან მოსაშვილი, ივორ ჭოლარია, რომანდ შალამბერიძე და რევაზ კვარაცხელია აფხაზეთის მეგოდნი არის. მათ დაენიღობაში სანკტ-პეტერბურგში დაუდგინათ ბინა, იქ დაუტვიდებიათ თავი და თავისითი შემოქმედებით „წლილი შეაქვთ რუსეთის კულტურული დედაქალაქის კულტურულ განვითარებაში“. ასე თვით სანკტ-პეტერბურგების მიწინევენ.


დარბაზში მხატვრების 100-ზე მეტი ნამუშევარი ყოფილა ნარმოდებილია. გამოფენა კი რუსეთის სახლოს არტისტის ირმა ნიორაძის პატრონაჟით გამართულა.

უცხოეთი აფხაზეთიდნ დევნილმა უამრავმა შემოქმედებაში შეაფარა თავი. ჩვენ ბათქო არა უფრო გიცით. ეს კი ის ბენიერი შემთხვევაა, როცა არა მხოლოდ დევნილების ნარმატებში ხელოვნებაზე ვიგებთ ამბავს, არამედ მთ საიცარ ერთიანობაზეც. ამსათან დაკავშირებით უკვე საკმოდ ალირებული მხატვარი შექრო ბოკუჩავა ამბობს: “ქართველი მხატვრები რუსეთში ყოველთვის ავანგარდის ვართ. გამოფენებს ვაკისუბა ჯგუფურად, ვერგობრობთ, ერთმანეთს დელიკატურად ვექცევით”.

ფრაზა კი - “ერთმანეთს დელიკატურად ვექცევით”, ალბათ, მათი ნარმატებულობის ერთ-ერთი პირობაც არის. ამიტომაც აღიქმება, უთუოდ, მათი შემოქმედებაც ასე ერთ მთლიანობაა:

“ყველა, ვისაც უყვარს სახეობითი მზე, შავი ზღვა, გემები, ქართული სოფლების კოლორიტი, ყველაფერს ამ ნამუშევრებში იპოვის, - ამბობს ავტორი და აგრძელებს, - ბევრ დამთვალიერებელს, რომელიც დიდი ხანია არ ყოფილა საქართველოში, ნოსტალგის შეგრძენება გაუჩნდება ამ უსაზღვროდ ლაბაზი ხალხისა და სასხეობის მიმართ”.

ადვილი შესამჩნევაა, ამ შემთხვევაში რა უჩვეულოდ თბილად ახსენებს საქართველოს, მის მიმართ გაჩენილ ნოსტალგიას, რაც თავს სთავად ცხადია, „ცხრა მზისდარი ქართველი მხატვრის“ ნოსტალგიას კულტურულ გინვითარებაში“ ჩაბმული აფხაზეთიდან დევნილი მხატვრები მშობლიურ აფხაზეთს გულით ატარებენ. ისინი ნოსტალგიის-



გან არ მორჩენილან, მშობლიურ ფესვებს არ მოწყდარან და ტილოზე მშობლიური მოტივებიც ხშირად გადააქვთ მათგვის დამახასიათებელი სტილითა და ხელწერით.

მათ ბევრი რამ საერთო აქვთ, ალბათ, თბილისში მცხოვრებ აფხაზეთიდან დევნილ მხატვრებთანაც, რომლებიც თავის მხრივ, კარგა ხანია, უკვე საქართველოს მხატვართა ამქარში არიან.

და ბოლოს, ლოგიკურად გიჩნდება სურვილი, გაირღვეს საზღვრება და 20 წლის შემდეგ მანცც „ცხრა მზისდარი ქართველი“ მხატვრის გამოფენას საქართველოშიც ვიზილოთ. და ახლა აქ, თბილისში გავხდეთ რუსეთში და საქართველოში მცხოვრები მხატვრების ერთანობისა, ამ დიდი შემოქმედებითი დღესასწაულის მონაწილეობის მონაწილეობი.

შაქრო ბოკუჩავა:

სოხუმი ჩემშია, მასზე ოცნება არ მასვენებს



80-10 ჩავრცელება



- თქვენთან საუბარში იგრძნობა, რომ შვილებით ამცილდოთ.

- ასეთი აზრია გავრცელებული, რომ პეტერბურგში სანამ უფასოდ ძნელია. ორივე შეიღმა - მერაბმა და დავითმა უმაღლესი სასწავლებელი წითელ დაბლომზე დაამთავრეს. ორივე მათგანი სოხუმში დაბიძა, უფროსი მერაბი რვა წლის ასაკიდან საუკელირო საქმეს ენევა. პეტერბურგის ხელოვნებისა და დიზაინის აკადემია დაამთავრა. ხელოვნებაშიც ადამიანი და ადამიანის აკადემია დაამთავრა.

2004 წლიდან მერაბ ბოკუჩავა რუსეთისა და საერთოშორისო მხატვარია და ადამიანის შეგნებლის სამსახურის წევრია. ის 2002



წლიდან დღემდე სანკტ-პეტეტებურგში, ასევე სხვა ქვეყნებში გამართულ იუველირობა გამოიყენებით ნარმატებით მონაწილეობს. მერაბის ნამუშევრები ბელგიაში, გერმანიაში, ისრაელში, ლატვიაში, ნორვეგიაში, ამერიკაში, უკრაინაშა და რუსეთში ეკრძო კოლექციებში მოფენილი. უმცროსი - დაიორგიოგრაფია და ეკოლოგიის სფეროს სპეციალისტია.

ბიჭებმა განათლება რუსულ ენაზე მიიღეს, იცინ ინგლისური, გერმანული და ფრანგული ენები. დათომ და მოსმა მეცნიერებმა მსანაცვლებელი დაიქმირავს და ქართულ ენას სწავლობურებს. ის უკვე ლექსებს წერს მშილობურ ენაზე. ორივენი საქართველოში ჩამოსასულაზე იცნებობენ.

რედაქტორისაგან: დავით ბოკუჩავას ზოოლოგიისა და საქართველოს სიცავარულით რამდენიმე ვებ-გვერდი აქვთ შექმნილი. მათგან ერთ-ერთი (www.nukri.org/) სამეცნიერო-ზოოპულარული ინტერნეტ-პროექტის საქართველოს ფაუნას - აქ მობინადრე ძუძუმშროვები, რეპტილიებისა და ამფიბიების უყრის თავს. სამშიობლოებან შორს მცხოვრები ახალგაზრდა თავის პატიოლიტულ გრძელობას ამითა გამოხატავს. ის საოცარი სითბოთი და სიცავარულით საუბრობს მშობლიურ აფხაზეთზე და ჩვენს მორიგ ნომერში მასთან ინტერვიუსაც შემოგთავაზებთ.

